სსიპ

საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

13.07.2016. 128

სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის წესის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისა და მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 2015 წლის 17 ივლისის „სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს“ (სდსუ), „სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს კვლევით ფონდსა და სსიპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს“ შორის გაფორმებული ქვეკონტრაქტის ხელშეკრულების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს „სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს კვლევით ფონდსა (SDSURF) და სსიპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს“ შორის გაფორმებული ქვეკონტრაქტის ხელშეკრულების მე-8 მუხლის საფუძველზე, სდსუ - საქართველოს პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასური განისაზღვროს 2 250 ლარით, რომელსაც დაფარავს „სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ან „სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს კვლევით ფონდი;
2. სწავლის საფასურის გადახდა განხორციელდეს ორ ეტაპად, შემდეგი პერიოდულობით: სწავლის საფასურის ნახევარი - სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე, ხოლო მეორე ნახევარი - სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე;
3. ბრძნება განთავსდეს სტუ-ს სასწავლო კორპუსებში, თვალსაჩინო ადგილებზე და გამოქვეყნდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი ფრანგიშვილი

ვიზები:
ვიცე-რექტორი
ლ.კლიმიაშვილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ.მაისურაძე